ვამტკიცებ:
ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია
ბიდისის დირექტორი
ნათია შათირიშვილი,
ბრძ. N 70, 17.11. 2025 წ

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია „ბიდისი“

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესი

ქ. თბილისი

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ა(ა)იპ საერთშორისო განათლების აკადემია ბიდისის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესი“ (შემდგომში-წესი) ადგენს ა(ა)იპ საერთშორისო განათლების აკადემია ბიდისიში (შემდგომში-აკადემიაში) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე (შემდგომში-პროგრამა) ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მოპოვების და შეწყვეტის საკითხებს.

1.2. ეს წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 71/ნ ბრძანების, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და აკადემიის სამართლებრივი აქტების საფუძველზე და გათვალისწინებით.

მუხლი 2. პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

2.1. პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა).

2.2. აკადემია პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციას აცხადებს აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე და კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემები შეაქვს ელექტრონულ სისტემაში.

2.3. აკადემია პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით;

2.4. **ღია წესით რეგისტრაციის** გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;

2.5. **დახურული წესით რეგისტრაცია** ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკადემია გააფორმებს ხელშეკრულებას სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება. დახურული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში აპლიკანტთა შერჩევის დროს ელექტრონულ სისტემაში აიტვირთება ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტი.

მუხლი 3. პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება

3.1. პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში აკადემიის მიერ მიეთითება:

ა) იურიდიული პირის სახელწოდება/სამართლებრივი ფორმა. საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) იურიდიული პირის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);

გ) პროგრამის სახელწოდება;

დ) პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება);

ე) პროგრამის ხანგრძლივობა;

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვა.);

ზ) პროგრამის მოკლე აღწერა;

თ) პროგრამის განხორციელების ადგილი;

ი) პროგრამაზე მისაღები ადგილების ზღვრული რაოდენობა;

კ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე;

ლ) პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;

მ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები (რეგისტრაციის დაწყების/დასრულების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სწავლის დაწყების თარიღს);

ნ) პროგრამაზე სწავლის დაწყება-დასრულების თარიღები;

ო) პროგრამის სწავლის საფასური;

პ) ინფორმაცია პროგრამის დაფინანსების შესახებ;

რ) მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

3.2. ამ მუხლის „ა“ - „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება ელექტრონულ სისტემაში აკადემიის მიერ პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას, ხოლო „მ“ - „რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს აკადემია.

3.3. აკადემია უფლებამოსილია, ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია შეცვალოს პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 4. აპლიკანტთა რეგისტრაცია

4.1. აკადემიის მიერ, **რეგისტრაციის ღია წესით** გამოცხადების შემთხვევაში, ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში, ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული

ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის;

4.2. აპლიკანტი პროგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე დარეგისტრირებით ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს აკადემიას, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს აკადემია ელექტრონული სისტემის გამოყენებით;

4.3. აპლიკანტს ან აკადემიას რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;

დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;

ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ინფორმაცია აპლიკანტის ამჟმინდელი საქმიანობის შესახებ.

4.4. აპლიკანტის რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის მისვლით;

4.5. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროგრამას/პროგრამებს;

4.6. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროგრამაზე რეგისტრაცია.

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევა

5.1. აკადემიის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა და მათთვის ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭება ხორციელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმების გზით;

5.2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/წინაპირობები შეიძლება იყოს:

ა) განათლება - აპლიკანტის წინმსწრები განათლება, ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტირება/გამოცდა ან სხვა;

ბ) ასაკი - პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას მინიმალური ასაკი;

გ) გასაუბრება - პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

დ) პროგრამაზე დაშვების სხვა წინაპირობა/წინაპირობები, თუ ასეთი გათვალისწინებულია შესაბამისი პროგრამით;

5.3. აპლიკანტთა შერჩევის ფორმატი, შერჩევის ჩატარების ვადები და სხვა პირობები განისაზღვრება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით;

5.4. გასაუბრების წესით აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

5.5. აპლიკანტთა შერჩევას ახორციელებს აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვტრული საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე და წევრ(ებ)ი. თუ პროგრამა ხორციელდება პარტნიორ კომპანიასთან/კომპანიებთან ერთად კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს კომპანი(ებ)ის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი;

5.6. გასაუბრება ტარდება აკადემიაში, საამისოდ გამოყოფილ გარემოში ან სხვა ალტერნატიულ ფართში, პარტნიორებთან შეთნხმებით. გასაუბრების შედეგები აისახება აპლიკანტთა შეფასების ფორმასა და შესაბამის სხდომის ოქმში;

5.7. შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აკადემია აპლიკანტს აწვდის ინფორმაციას შერჩევის პროცედურის შესახებ;

5.8. შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აკადემია ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

მუხლი 6. შერჩევის პროცესში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები

6.1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შერჩევისა და შეფასების წესს და პროცედურას;

6.2. შერჩევის პროცესში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე ან/და შერჩვის განსაზღვრულ სხვა აქტივობაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი აკადემიის მიერ ორგანიზებულ შერჩევის პროცედურაზე არ დაიშვება;

6.4. შერჩევის პროცესზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს შერჩევის პროცედურის სხვა დღეს ჩტარება, გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

მუხლი 7. მსმენელის სტატუსის მოპოვება

7.1. ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

7.2. ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 3 სამუშაო დღის ვადაში აკადემია უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით და შესაბამის პირთან/მის კანონიერ წარმომადგენელან გაფორმებული ხელშეკრულებით;

7.3. ინფორმაციას მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში სწავლის დაწყებამდე ასახავს ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების მენეჯერი;

7.4. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, აკადემია უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. აკადემია ვალდებულია ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში;

7.5. მსმენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მსმენელის უფლება-მოვალეობები და სხვა დამატებითი პირობები;

7.6. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი არის არასრულწლოვანი, ხელშეკრულებაზე ხელს უნდა აწერდეს მისი კანონიერი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით.

მუხლი 8. აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

8.1. პროგრამაზე ჩარიცხვის და მსმენელის სტატუსის მოპოვების მიზნით აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციებია:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) აპლიკანტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი);

დ) პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის/წინაპირობების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, თუ განათლება წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, შესაბამისი განათლების აღიარების დოკუმენტი;

ე) იმ ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რა ენაზეც ხორციელდება პროგრამა. დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პირმა სრული ზოგადი განათლება მიიღო პროგრამის განხორციელების ენაზე, ასევე საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი ან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. სხვა შემთხვევაში, ქართული ენის ფლობის დადასტურების მიზნით, პირს აკადემიის მიერ უტარდება გამოცდა/ტესტირება/გასაუბრება. პირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პირი ვერ ჩაირიცხება პროგრამაზე/ვერ მოიპოვებს მსმენელის სტატუსს.

მუხლი 9. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

9.1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მსმენელის/კამნონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება;

ბ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 3 (სამი) კვირის განმავლობაში სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობა;

გ) მსმენელის მიერ, პროგრამით განსაზღვრული, პრაქტიკული მეცადინეობის საათების 25%-ზე მეტის ან თეორიული მეცადინეობისათვის დათმობილი საათების 30%-ზე მეტის გაცდენა;

დ) მსმენელის მიერ პროგრამის აუთვისებლობა/განმსაზღვრელ შეფასებებზე გამოუცხადებლობა პროგრამის განცორციელების ძირითად ვადებში ან სწავლის შედეგის არდადასტურება განმეორებითი შეფასებისას;

ე) პროგრამის დასრულება;

ვ) ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა მსმენელის სტატუსის მოპოვების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

ზ) მსმენელის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, რის გამოც მსმენელი ვერ მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესში;

თ) ისეთი დისციპლინური გადაცდომების ჩადენა, რომელიც იწვევს მსმენელის სტატუსის შეწყვეტას;

ი) სწავლის საფასურის დადგენილ/შეთანხმებულ ვადებში გადაუხდელობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) გარდაცვალება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

9.2. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გამოიცემა სასწავლებლის დირექტორის სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება ელექტრონულ სისტემაში 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 10. მსმენელის პირადი საქმე

10.1. მსმენელის პირადი საქმე მოიცავს:

ა) შერჩევისა და მსმენელის სტატუსის მინიჭების პროცესში წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს;

ბ) მსმენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას;

გ) მსმენელთან დაკავშირებით გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის ასლს;

დ) სასწავლებლის მიერ მსმენელზე გაცემული სერტიფიკატის ასლს;

ე) სხვა დოკუმენტებს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით.

10.2. მსმენელის პირად საქმეს აწარმოებს აკადემიის ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების მენეჯერი;

10.3. მსმენელის პირადი საქმის წარმოების წესები განისაზღვრება აკადემიაში მოქმედი რეგულაციების შედეგად.

მუხლი 11. აკადემიის მიერ ორგანიზებული შერჩევის პროცედურის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვა

11.1. შერჩევის პროცესის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აკადემიის სამართლებრივი აქტით (პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში) იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით;

11.2. შერჩვის პროცესის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიას შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

11.3. საპრეტენზიო კომისიის მიერ საპრეტენზიო განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში;

11.4. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის შერჩევის პროცესში.

მუხლი 12. სწავლის საფასური

12.1. პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება აკადემიის სამართლებრივი აქტით შესაბამისი პროგრამისათვის;

12.2. მსმენელისთვის სწავლის საფასური შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

ამ წესში ცვლილებების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის სამართლებრივი აქტით.